ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერია
G E O R G I A
ZUGDIDI MUNICIPALITY CITY HALL

ბრძანება:**ბ24. 24241485**

თარიღი:**27/05/2024**

აქსანა გუჩუასთვის დროებითი ფუნქციების დაკისრების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“ პუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტის, საქართველოს კანონის „საჯარო სამსახურის შესახებ“ 50-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, ამავე მუხლის მე-6 და მე-9 პუნქტების, საქართველოს კანონის „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ 30-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს კანონის „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“, საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 52–ე მუხლის შესაბამისად და ა. გუჩუას 2024 წლის 24 მაისის N01-2424145105 თანხმობის წერილის საფუძველზე:

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის III რანგის I კატეგორიის - ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების უფროს სპეციალისტს აქსანა გუჩუას დროებით დაეკისროს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის ფუნქციების შესრულება 2024 წლის 1 ივნისიდან პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის დანიშვნამდე.
2. შრომის ანაზღაურება განესაზღვროს „ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა რანგირების, თანამდებობრივი სარგოების ოდენობის განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების თაობაზე“ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 14 ნოემბრის N6 დადგენილების საფუძველზე III რანგის I კატეგორიის უფროსი სპეციალისტის თანამდებობრივი სარგოს ოდენობით.
3. პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის ფუნქციების შემსრულებელმა საკუთარი უფლებამოსილების განხორციელებისას იხელმძღვანელოს საქართველოს კანონის „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ შესაბამისად.
4. პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი (ოფიცრის ფუნქციების შემსრულებელი) უშუალოდ ანგარიშვალდებულია ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის წინაშე.
5. დაევალოს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის და პროტოკოლის განყოფილებას ბრძანების ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ვებ-გვერდზე (http://zugdidi.mun.gov.ge/) გამოქვეყნება.
6. დაევალოს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის ადამიანური რესურსების მართვის განყოფილებას ბრძანების პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურისთვის გაგზავნა.
7. აღნიშნულის შესახებ ეცნობოს საფინანსო-საბიუჯეტო და შესყიდვების სამსახურს.
8. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
9. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით, გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში (მის. ქ. ზუგდიდი, რ. ლაღიძის ქ. №12).

მამუკა წოწერია

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

2100 ზუგდიდი, რუსთაველის ქ.90. ტელ: (0415) 25 01 23, (0415) 22 21 03,
ელ.ფოსტა: info@zugdidi.gov.ge